# წყალტუბოს მუნიციპალიპეტის საკრებულოს სხდომის

## ო ქ მ ი № 12

ქ. წყალტუბო 26 აგვისტო , 2022 წელი

2022 წლის 26 აგვისტოს, 12:00 საათზე, ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა: თეიმურაზ ჭეიშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე -კობა გურეშიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -გიორგი დოლიძე;

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები: მაკა ჭელიძე, არჩილ ღიბრაძე, შალვა კილაძე, რევაზ დიდავა, ლევან ჩანქსელიანი;

ფრაქციების თავმჯდომარეები: გიორგი ფაჩუაშვილი,

საკრებულოს წევრები: ნაილი ჭოლაძე, ომარ სინაურიძე, გრიგოლ მაღლაფერიძე, სალომე ჯიმშელეიშვილი, დავით ხიდეშელი, ირინე ცაავა, იასონ ბზიკაძე, ხათუნა მაღლაკელიძე, ავთანდილ მხეიძე, დევი დოლაბერიძე, ფიქრია ერემეიშვილი, თენგიზ გოგელია, ავთანდილ გაბუნია, სოფიო ბოლქვაძე, გალაქტიონ ხარაბაძე, რუსუდან მანაგაძე, ზურაბ იოსელიანი, როინ როხვაძე, გელა ბურჯალიანი, ნოდარ ასათიანი.

სხდომას არ ესწრებოდნენ : სერგო კირკიტაძე, ვლადიმერ ხურცია, ლატავრა ზენდელიანი, ჯეირან ომანაძე, ზურაბ ლექვინაძე, ვასილ მხეცაძე, მამუკა ჩხეტიანი, ალექსანდრე ნიქაბაძე, ნინო ჭეიშვილი, ვეფხვია ზანძელაძე /რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის/.

სხდომას ესწრებოდნენ:წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-გრიგოლ ყურაშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი-მარეხ კანკაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი-მაკა თედორაძე, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების'' ადმინისტრაციული სამსახურის მენეჯერი-მამუკა ვარდანიძე, არასამეწარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს მმართველი-ნინო ნემსწვერიძე, არასამეწარმეო (არაკომერციული ) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''-ს მმართველი ვერა ზურაბიანი, საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-აპარატის უფროსი-გელა თათარაშვილი, საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საორგანიზაციო, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - ალექსანდრე დადუნაშვილი, საკრებულოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საინფორმაციო-ანალიტიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის

განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ნათია მელაძე, პრესის წარმომადგენელი- მურთაზ კანკაძე და საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები,.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გახსნა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა. მან საკრებულოს წევრებსა და სხდომის მონაწილეებს გააცნო დღის წესრიგი:

1.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N122(გ-49.49213379) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს : მაკა ჭელიძე/

2.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N126(გ-49.492133713) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს : მაკა ჭელიძე/

3.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის N42 (გ-49.492208413) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

/მომხს : მაკა ჭელიძე/

4.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/ მომხს:მაკა ჭელიძე/

5.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

/ მომხს: მაკა ჭელიძე/

6.ქალაქ წყალტუბოს ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/ მომხს: მაკა ჭელიძე//

7,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორონგის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობისა და ბიუჯეტის ქვეპროგრამის

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''-ს ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის შესახებ''.

/ მომხს:კობა გურეშიძე, თანამომხს:მაკა თედორაძე/

8.წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: რევაზ დიდავა,თანამომხს:მარეხ კანკაძე/

9.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №22 (გ-49.49220569) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა,თანამომხს: მარეხ კანკაძე/

10.,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის №31 (გ-49.49220843) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს:რევაზ დიდავა, თანამომხს: მარეხ კანკაძე/

11. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: შალვა კილაძე,თანამომხს:ნინო ნემსწვერიძე/

12. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშო ბაღების გაერთიანების'' მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ლევან ჩანქსელიანი,თანამომხს:გიორგი იობიძე/

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:
მომხრე-29
წინააღმდეგი-0
დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N122(გ-49.49213379) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.
მომხრე-29
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N122(გ-49.49213379) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.
2. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N126(გ-49.492133713) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.
მომხრე-29
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N126(გ-49.492133713) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.
3. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის N42(გ-49.492208413) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე-29

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის წევრთა სიის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 მარტის N42(გ-49.492208413) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

4. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.''

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი

მომხრე-29

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: დადგენილების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცებისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

5. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ''.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე-29

წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

6. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაკა ჭელიძის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,.ქალაქ წყალტუბოს ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახე''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს: საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.
მომხრე-29
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,.ქალაქ წყალტუბოს ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ''.
მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

7. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის მაკა თედორაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში - ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორონგის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობისა და ბიუჯეტის ქვეპროგრამის -ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი''-ს ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : მაკა თედორაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს შორის გაფორმდა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის თაობაზე ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, ამ მემორანდუმის ერთ-ერთი პირობა მუნიციპალიტეტის მხრიდან იყო 2022 წელს რისკის შეფასების საფუძველზე შედგენილი სამოქმედო გეგმის მიხედვით ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმების განხორციელება და მომზადებული ანგარიშის განხილვა მუნიციპალიტეტის საკრებულოში.
აღნიშნული მემორანდუმის საფუძველზე შიდა აუდიტორთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ბიუჯეტის ქვეპროგრამის - ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის'' ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმება, რომლის

მიზანი იყო შეეფასებინა აღნიშნული ქვეპროგრამა ეკონომიურობის, პროდუქტიულობის და ეფექტიანობის კუთხით.
ჩატარებული ინტერვიუების, დოკუმენტების შესწავლის, გამოყენებული სხვა ტექნიკებით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის და ურთიერთშედარების შედეგად გამოვლინდა მიგნებები, რომლებიც შეეხება ქვეპროგრამის დაგეგმვის პროცესს,მუნიციპალიტეტის როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის, ცნობადობის ამაღლებისა და მიმზიდველი იმიჯის ფორმირების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს, მუნიციპალიტეტის ტურისტული პროდუქტების განვითარებისა და ტურისტული მომსახურების ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად განხორციელებულ აქტივობებს. პროცესთან დაკავშირებული რისკების შემცირებისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესებისთვის გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები.
განკარგულების პროექტი წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კობა გურეშიძემ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
მომხრე-29
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორონგის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვატრალში გაწეული მუშაობა და ბიუჯეტის ქვეპროგრამის - ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის'' ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში შეფასდეს დადებითად,
განკარგულების პროექტი მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

8. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის I –II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ''.
სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.
ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.
სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 29
წინააღმდეგი-0
დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

9. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №22 ( გ-49. 49220569 ) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-29

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №22 ( გ-49. 49220569) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

10. მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე რევაზ დიდავას მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №22 ( გ-49. 49220569 ) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი  გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 29

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის №22 ( გ-49. 49220569 ) განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

11.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე შალვა კილაძის მიერ წარმოდგენილი

განკარგულების პროექტი ,, არასამეწარმეო (არაკომერციული ) იურიდიული პირის ,, ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''- ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს :საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე-29

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,, არასამეწარმეო (არაკომერციული ) იურიდიული პირის ,, ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი''- ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

12.მ ო ი ს მ ი ნ ე ს: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ლევან ჩანქსელიანის მიერ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშო ბაღების გაერთიანების'' მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს მიმართა, რომ დაესვათ შეკითხვები, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები.

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს : საკრებულოს წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროექტი.

მომხრე- 29

წინააღმდეგი-0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს: განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული ) იურიდიული პირის ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშო ბაღების გაერთიანების'' მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ'' მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ფორმით და მომზადდეს შესაბამისი სამართლებრივი აქტი / თან ერთვის ოქმს/.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე თეიმურაზ ჭეიშვილი

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო,
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მესამე რანგის მეორე
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნონა ტაბიძე